სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №124

დაბა ჩაქვი, **04 დეკემბერი 2019 წელი**

ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატი (შემდგომ - ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი, მისი უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, ვლადიმერ ხუბულავას სახით და მეორე მხრივ, შ.პ.ს. ,,თეგეტა მოტორსი“ (შემდგომ - ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი, მისი დირექტორის ავთანდილ წერეთლის სახით, **,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“** საქართველოს კანონის, **,,ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“–ს** დამტკიცების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებისა და **NAT190021475** ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულის მიერ საბოლოო ფასად წარმოდგენილი სატენდერო წინადადების საფუძველზე, ვაფორმებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდეტს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ელექტრონულ ტენდერში და ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში;

1.6. „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.7. „ტექნიკური დავალება“ – სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის ბალანსზე რიცხული **17 (ჩვიდმეტი)** ერთეული სატრანსპორტო საშუალების და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთების (ასეთი მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების) და ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა **- CPVკოდი: 501 00000;**

2.2. შესყიდვის ობიექტის დასახელება, დეტალური აღწერა და პირობები მოცემულია ერთიან ელექტრონულ სისტემაში, რომლებიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: **10 000 (ათი ათასი)** ლარს;

3.2. შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასი, რაოდენობა და საერთო ღირებულება ატვირთულია ერთიან ელექტრონულ სისტემაში (მომწოდებლის სატენდერო წინადადება და ფასების ცხრილი (პრეისკურანტი)), რომლებიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია;

3.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა თანამდევ ხარჯს, მათ შორის, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. მიწოდების პირობები და ადგილი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად. მომსახურების გაწევის ვადად განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან **2019 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი;**

4.2.მიმწოდებლის მიერ გასაწევი მომსახურება უნდა განხორციელდეს სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო პირობების შესაბამისად;

4.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია **ქ. ბათუმში, ლეონიძის №29-ში** განთავსებული მიმწოდებლის სერვისცენტრები (საჭიროების შემთხვევაში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე განთავსებული მიმწოდებლის სერვისცენტრები).

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

5.1.1. შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის მახასიათებლების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

5.1.2. რაიმე ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, აცნობოს და მოთხოვოს მიმწოდებელს ნაკლის დაუყოვნებლივ გამოსწორება;

5.1.3. მოითხოვოს მიმწოდებელისგან ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

5.2.1.განახორციელოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

5.2.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

5.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

5.3.1. მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

5.4.1. უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულება;

5.4.2. შემსყიდველს მიაწოდოს ხარისხიანი შესყიდვის ობიექტი, რომელიც არ გამოავლენს დეფექტებს;

5.4.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პროცესში არსებული შეფერხების შესახებ აცნობოს შემსყიდველს;

5.4.4. დაიცვას უსაფრთხოების ნორმები;

5.4.5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან გაავრცელოს გარანტია სატენდერო წინადადებაში მითითებული **6 (ექვსი) თვიანი** ვადის განმავლობაში (გარდა სამუხრუჭე ხუნდებისა) და საგარანტიო ვადაში შესყიდვის ობიექტის რაიმე ნაკლის გამოვლენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი გამოსწორება დაუყოვნებლივ ,(გაწიოს საჭირო მომსახურება და/ან ახალი შესყიდვის ობიექტის მიწოდება), შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯების გარეშე.

5.4.6. ძრავზე, გადაცემათა კოლოფზე და ხიდებზე გაავრცელოს **არანაკლებ 1 (ერთი)** წლიანი გარანტია.

6. ანგარიშსწორება

6.1.ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების შესაბამისად;

6.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ სასაქონლო ზედნადებისა და/ან საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარდგენის საფუძველზე, შესაბამისი დოკუმენტების წარდგენიდან **არაუგვიანეს 10 სამუშაო** დღის ვადაში;

6.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კონტროლი

7.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;

7.2. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით;

7.3. კონტროლს ახორციელებენ შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლები:

- **პლატონ მანჯგალაძე** - აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს აპარატის ლოჯისტიკისა და საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტის სატრანსპორტო საშუალებათა მართვისა და ექსპლუატაციის განყოფილების უფროსი;
- **ზვიად ფარტენაძე** - აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს აპარატის ლოჯისტიკისა და საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტის სატრანსპორტო საშუალებათა მართვისა და ექსპლუატაციის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

7.4. კონტროლის განმახორციელებლების ფუნქციებია:

7.4.1. გაუწიონ კონტროლი შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას;

7.4.2. განახორციელონ კონტროლი შესყიდვის ობიექტის ხარისხზე, ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისობაზე;

7.4.3. მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე უზრუნველყონ მიწოდებული შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.5. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად, რომელიც დასტურდება მხარეების ან მათი წარმომადგენლების (უფლებამოსილი პირების) ხელმოწერებით;

8.2. ხელშეკრულების **5.4 პუნქტის** შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებაზე და მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების შესრულება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება შესყიდვის ობიექტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის მნიშვნელოვანი დარღვევის (გამოუსწორებელი ნაკლის, ისეთი ნაკლის, რომლის გამოსწორება შეუძლებელია განსაზღვრული მატერიალური და დროის დანახარჯების გარეშე, ან რომელიც კვლავ აღმოჩნდება ნაკლის გამოსწორების შემდეგ) შემთხვევაში;

9.2. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ ,თუ:

ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში მიმწოდებელს არ შეუძლია შესყიდვის ობიექტის სრულად ან ნაწილობრივ მიწოდება;

ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

გ) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) მიმწოდებლის მიმართ დაიწყო გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9.3.ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

9.4. ხელშეკრულების **9.3** პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ **არანაკლებ 10 დღით** ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1. ფორსმაჟორული გარემოებების გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების **0,02%-ის ოდენობით.**

10.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების **5 (ხუთი) პროცენტს,** შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. დაუძლეველი ძალა (ფორსმაჟორი)

11.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოებებით;

11.2. ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორსმაჟორული გარემოებებისგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია;

12.2. თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში აღმოჩნდება, რომ პრეისკურანტში არ არსებობს რომელიმე სახის მომსახურება, აღნიშნული მომსახურების ერთეულის ფასი მისი შესყიდვის აუცილებლობისას, დადგინდება შემსყიდველი ორგანიზაციისა და მიმწოდებლის შეთანხმებით საბაზრო ფასის გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში პრეისკურანტში შესაბამისი მომსახურების ერთეულის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული პრეისკურანტის საბოლოო ჯამური ღირებულების 10%-ს.

12.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს **სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით** გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. დავების გადაჭრის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერიდან და მოქმედებს **2020 წლის 25 იანვრის ჩათვლით პერიოდამდე.**

15. დასკვნითი დებულებები

15.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი;

15.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე **2 (ორი)** თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. **1 (ერთი)** ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო **1 (ერთი)** მიმწოდებელთან.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

,,შემსყიდველი "	,,მიმწოდებელი"
აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭო	შპს ,,თეგეტა მოტორსი"
მის: დაბა ჩაქვი, მეგენეიშვილის ქ. №25 საიდენტიფიკაციო კოდი: 245 425 749 სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში სახელმწიფო ხაზინის ბანკის კოდი: TRESGE22	მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ №5 საიდენტიფიკაციო კოდი: 202 177 205 მომსახურე ბანკი: სს ,,თიბისი ბანკი" ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა: GE80TB0600000024467853
აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი:	გენერალური დირექტორი:
---------- ვ. ხუბულავა	---------- ა. წერეთელი

Tegeta Motors LLC

Digitally signed by Tegeta Motors LLC
Date: 2019.12.04 17:22:36 +04'00'